

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური წერა ბიომედიცინაში

სილაბუსი

სასწავლო კურსის
დასახელება

აკადემიური წერა ბიომედიცინაში

სასწავლო კურსის კოდი

სასწავლო კურსის სტატუსი

თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის,
კურსი სავალდებულოა

სასწავლო კურსის
ხანგრძლივობა

1 სემესტრი

ECTS

5 ECTS კრედიტი. საკონტაქტო საათები 20 საათი,
დამოუკიდებელი – 105 საათი;

ლექტორი

თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი დიმიტრი
კორძაია ; საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.599 43 33 45
ელ. მისამართი: dimitri.kordzaia@tsu.ge

სასწავლო კურსის მიზანი

სამეცნიერო სტატიების წერის ძირითადი პრინციპების
გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება;
სამეცნიერო გრანტების წერის ძირითადი პრინციპების
გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება.

სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბება.

სასწავლო კურსის
შესწავლის წინაპირობები

არ აქვს

სასწავლო კურსის ფორმატი

კურსი ითვალისწინებს თეორიული მასალის გადაცემას ლექციების სახით, პრაქტიკულ მეცადინეობებს და დისტანციურ კავშირს ინტერნეტის საშუალებით.

სასწავლო კურსის შინაარსი

სამეცნიერო სტატიების წერის თეორიის, მიზნების და ამოცანების გაცნობა;

სამეცნიერო სტატიის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპების შესწავლა;

პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, სტატიის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.

სამეცნიერო გრანტის წერის თეორიის, მიზნების და ამოცანების გაცნობა;

სამეცნიერო გრანტის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპების შესწავლა

პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, გრანტის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.

სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის მიზნების და ამოცანების გაცნობა;

სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის ძირითადი კომპონენტების და მათი გადმოცემის პრინციპების შესწავლა
პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა, პრეზენტაციის სხვადასხვა კომპონენტების მოცემულობების შესრულება.

სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა მათვის საჭირო და გადასაჭრელ პრობლემებზე მუშაობა.

ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების გაცემა

ჩატარებული მეცადინეობების შეფასების მიღება
სტუდენტებისგან (კითხვარის შევსება და დისკუსია).

შეფასება

დასწრება - 10 ქულა

პრეზენტაციის კომპიუტერული ვერსიის შექმნა - 20ქულა

სიტყვიერი მოხსენების ოპონირება - 20 ქულა

სამეცნიერო გრანტის მომზადება - 20 ქულა

პასუხები საგამოცდო ტესტზე - 30 ქულა

სავალდებულო

ლიტერატურა

Jean-Luc Lebrun: Scientific Writing: a reader and writer's guide. 2007,
World Scientific Publishing Co.

დამატებითი ლიტერატურა
და სხვა სასწავლო მასალა

შესაბამისი ინტერნეტ გვერდები დამოუკიდებელი მუშაობისა
და დისკუსიისათვის

სწავლის შედეგი

კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ცოდნას:

თანამედროვე სამეცნიერო სტატიების დაწერის ძირითადი პრინციპების და მისი კომპონენტების შესახებ.

გრანტის მოსაპოვებელი პროექტების დაწერის ძირითადი პრინციპების და მისი კომპონენტების შესახებ.

სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების და მისი კომპონენტების შესახებ.

კომპეტენციები

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს

შეადგინოს სამეცნიერო სტატიის დაწერის გეგმა და დაწეროს სტატია დარგის სპეციფიკის და სტატიის ტიპის გათვალისწინებით.

შეადგინოს სამეცნიერო გრანტის პროექტის დაწერის გეგმა საგრანტო სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად და დაწეროს პროექტი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გააკეთოს სამეცნიერო მოხსენების პრეზენტაცია PowerPoint-ის ფორმატში.